შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს

გადაწყვეტილება

თბილისი, 01/09/2021

საჩივრის ავტორი

ესმა გუმბერიძე

საბჭოს შემადგენლობა

ნინო ფაშალიშვილი, რუსუდან მაჭავარიანი, ანდრია ლაშხი.

საქმის განხილვის ფორმა

ზეპირი მოსმენა - ელ. საკომუნიკაციო (Zoom) საშუალებით. გამოყენებულია ვიდეო - აუდიო ჩაწერა. განხილვა შედგა 2021 წლის 04 აგვისტოს.

საკითხის განხილვაში ჩართული პირები

ესმა გუმბერიძე

მარიამ მელქაძე (საჩივრის ავტორის წარმომადგენელი)

განსახილველი საკითხი

ტელეკომპანია "იმედის" ეთერში 2021 წლის 15 ივნისს განთავსებული გადაცემის "იმედის ფაქტორი" ფარგლებში გადაცემის სტუმრის თეა დარჩიას მიერ გაკეთებული განცხადებები. განმცხადებელმა მიიჩნია, რომ სტუმრის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე გადაცემის წამყვანის რეაგირება არ იყო სათანადო, რითაც დაირღვა "მაუწყებელთა ქცევის კოდექსი".

საჩივრის ავტორის მოთხოვნა

"მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31 - ე, 37 - ე და 38 - ე მუხლების დარღვევის დადგენა. საჩივრის ავტორმა ზეპირი მოსმენის ფარგლებში დააზუსტა მოთხოვნა და გარდა ზემოხსენებულისა, ასევე მოითხოვა მაუწყებლის მიერ შესაბამისი რეაგირების მოხდენა, შშმ პირთა მიმართ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ტერმინის გამოყენების კუთხით, ასევე მათ მიმართ ძალადობისა და ანტისოციალური ქმედების მისაღებად წარმოჩინების, მისი მოწონებისა და გამართლების კუთხით.

<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 01/09/2021

1. <u>საჩივრის დასაშვებობა</u>

საბჭომ მოისმინა საჩივრის ავტორის დასაბუთება საჩივრის დასაშვებობის დაკმაყოფილების თაობაზე, განიხილა საკითხი და იმის გათვალისწინებით, რომ

- "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე - 2 მუხლის ე) პუნქტის თანახმად "დაინტერესებული პირი" არის "ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ ინტერესზე **<u>პირდაპირ და უშუალო</u>** გავლენას ახდენს მაუწყებლის საქმიანობა",
- "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე - 6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "**<u>დაინტერესებულ პირს</u>** საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლით დადგენილი წესით",
- საჩივარი საბჭოს წარედგინა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში,
- საჩივრის ავტორმა დაასაბუთა კანონმდებლობით განსაზღვრულ "დაინტერესებული პირის" ცნებასთან მისი შესაბამისაობა ნაწილობრივ, კერძოდ მუსლიმური თემის კუთვნილების ნაწილში, ისევე როგორც არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით, საჩივრის ავტორმა ვერ დაასაბუთა კანონმდებლობით განსაზღვრულ "დაინტერესებული პირის" ცნებასთან მისი შესაბამისობა.
- საჩივარი აკმაყოფილებს განსახილველად დაშვებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა აუცილებელ პირობებს,

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონისა და "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე

მიიჩნია, რომ

საჩივარი აკმაყოფილებს მისი დასაშვებობისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმალურ პირობებს, და

<u>მიიღო გადაწყვეტილება</u> საჩივრის არსებით განხილვაში დაშვების შესახებ.

2. <u>აღწერილობითი ნაწილი:</u>

2021 წლის 15 ივნისს ტელეკომპანია "იმედის" სამაუწყებლო ეთერში განთავსდა გადაცემა "იმედის ფაქტორი". გადაცემაში მოწვეულმა სტუმარმა შეაფასა ნინოწმინდის პანსიონში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ გავრცელებული ცნობები, რა დროსაც მან, მათ შორის, განაცხადა:

"მე არ უარვყოფ, რომ შესაძლებელია რომელიმე პედაგოგი, ძიძა ან აღმზრდელი **ამეტებს თავის შესაძლებელობებს**, უფლებებს ... ადამიანები ვართ. ის კი არა, დედა ვარ და ჩემი შვილი ხანდახან ისე მამწარებს, **რით გავეკიდო, არ ვიცი ხოლმე** ... ვიცით, რომ კონფლიქტი სისხლს და ხორცს შორის ხდება,

<u>**შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს**</u>

<u>**გადაწყვეტილება**</u>

თბილისი, 01/09/2021

მითუმეტეს ამხელა დაწესებულებაში, ამდენი ბავშვით, **ბავშვებით, რომელიც დედის მუცელშივე უარყოფილებინ არიან, ისინი უკვე ტრამვირებულები ჩნდებიან**. ზოგი სუროგატი დედის ბავშვია, რომელიც გაჩნდა სხვადასხვა **დეფექტით** ...."
წამყვანს აღნიშნულ განცხადებებზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენია.

3. <u>**დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები**</u>

საბჭომ შეისწავლა საჩივრში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა ეთერში განთავსებულ გადაცემასთან და
დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებად მიიჩნია, რომ

- გადაცემის სტუმარმა მართლაც გააკეთა აღწერილობით ნაწილში მითითებული განცხადება;
- გადაცემის წამყვანს აღნიშნულ განცხადებაზე სათანადო რეაგირება არ მოუხდენია.

4. <u>**საჩივრის ავტორის პოზიცია**</u>

საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მაუწყებელმა დაარღვია "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" 31 - ე, 37 - ე და 38 მუხლები. ზეპირი მოსმენის დროს საჩივრის ავტორმა მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა შშმ პირთა მიმართ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ტერმინის გამოყენებას, ასევე მათ მიმართ ძალადობისა და ანტისოციალური ქმედების მისაღებად წარმოჩინების, მისი მოწონებისა და გამართლების ფაქტს, რაზეც გადაცემის წამყვანს შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენია.

5. <u>**სამოტივაციო ნაწილი**</u>

5.1. **კანონმდებლობა, რომლითაც იხელმძღვანელა საბჭომ:**

- **მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 31.** (მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპი)

"მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

- **მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 49.**

მაუწყებლის მიერ დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისადმი წაყენებული მოთხოვნები (წესები)
1. "მაუწყებლმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაულის ჩადენა ან გამოიწვიოს ანტისოციალური ქმედება, ან რომელიც ამართლებს ან იწონებს უკანონო, ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას."

<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 01/09/2021

- **მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 55.**
  მაუწყებლის მიერ მავნე და შეურაცხმყოფელი მასალისგან დაცვის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)
  2. "მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელიც ამართლებს ან იწონებს ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას და შეიძლება წაახალისოს სხვები მსგავსი ქმედებისკენ."
- **მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 56.**
  სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის შესახებ
  1. „აუდიტორიის შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას."
  7. "დაუშვებელია სექსუალური და ნებისმიერი სხვა ძალადობის მისაღებად წარმოჩენა"

5.2. <u>**შეფასება**</u>

საბჭო მიიჩნევს, რომ

- განსახილველი თემის კონტექსტის გათვალისწინებით (ნინოწმინის ბავშვთა პანსიონის მიმართ საზოგადოებაში, მათ შორის ყოფილი ბენეფიციარების მიერ გამოთქმული ბრალდებები ფიზიკური ძალადობის შესახებ), ფრაზებით **"მე არ უარვყოფ, რომ შესაძლებელია რომელიმე პედაგოგი, ძიძა ან აღმზრდელი ამეტებს თავის შესაძლებელობებს, უფლებებს ..."** გადაცემის სტუმარმა დაადასტურა, რომ მისი განცხადებები სწორედ ბავშთა მიმართ მათი "სწორი აღზრდის" ეგიდით ე.წ. მკაცრი მეთოდების გამოყენებას (მათ შორის ფიზიკურ ძალადობას ეხებოდა), გარდა ამისა, მან ასეთი შესაძლებლობა (ბავშვთა მიმართ უფლებების გადამეტების ფაქტების არსებობა) დაუშვა.
- გადაცემის სტუმარმა ფრაზებით "ის კი არა, დედა ვარ და ჩემი შვილი ხანდახან ისე მამწარებს, **რით გავეკიდო, არ ვიცი ხოლმე** ... ვიცით, რომ კონფლიქტი სისხლს და ხორცს შორის ხდება, მითუმეტეს ამხელა დაწესებულებაში, ამდენი ბავშვით ..." ნორმად წარმოაჩინა "სწორი აღზრდის" მიზნით ფიზიკური ძალადობა.
- გადაცემის სტუმარმა ფრაზებით "ბავშვებით, რომელიც დედის მუცელშივე უარყოფილები არიან, ისინი უკვე ტრამვირებულები ჩნდებიან. ზოგი სუროგატი დედის ბავშვია, რომელიც გაჩნდა **სხვადასხვა დეფექტით** ...." - აღზრდის მკაცრი მეთოდის (ფიზიკური ძალადობის) გამოყენება ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებობით გაამართლა. გარდა ამისა, აღნიშნულ განცხადებაში გამოყენებული ტერმინი "დეფექტიანი" წარმოადგენს ჯანმრთელობის მდგომარეობის უაღრესად არაკორექტულ და შეურაცხმყოფელ ილუსტრაციას, რაც ცალსახად წარმოადგენს სტიგმატიზაციის გაღრმავების დამატებით და მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც ზეპირი მოსმენისას განმარტა კიდეც საჩივრის ავტორმა.

არსებული კონტექსტის გათვალისწინებით განცხადების შესწავლის შედეგად, იმის გათვალისწინებით, რომ

<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 01/09/2021

- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31 - ე მუხლის (მრავალფეროვნების, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპი) თანახმად "მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე",
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 37 - ე მუხლი (არასრულწლოვანთა დაცვის პრინციპი) პირველი პუნქტის თანახმად "მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს არასრულწლოვნების დაცვა მავნე ზეგავლენისაგან" ხოლო ამავე მუხლის მე - 2 პუნქტის თანახმად "პროგრამების განრიგის შედგენისას მაუწყებელმა უნდა დაიცვას ბალანსი არასრულწლოვანთა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის უზრუნველყოფასა და ზრდასრული აუდიტორიის უფლებას შორის, დღის განმავლობაში მიიღოს ინფორმაცია. საინფორმაციო პროგრამის ეთერში გასვლისას უნდა გაკეთდეს გამაფრთხილებელი განცხადება, თუ ეთერში გასულმა მასალამ შეიძლება გამოიწვიოს აუდიტორიის აღელვება ან აღშფოთება"
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 38 - ე მუხლის (მაუწყებლის მიერ არასრულწლოვანთა დაცვის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)) პირველი პუნქტის თანახმად "აკრძალულია მაუწყებლის მიერ ისეთი პროგრამის გადაცემა ან პროგრამაში მასალის განთავსება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას."
- საჩივრის ავტორი არ იქნა მიჩნეული "დაინტერესებულ პირად" არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით.
- წინამდებარე საჩივრის ფარგლებში განხილული სტუმრის მიერ გაკეთებული განცხადებების ტირაჟირება წარმოადგენს შეურაცხყოფას შშმ პირთა მიმართ, ასევე წარმოადგენს საფრთხეს მათ მიმართ არატოლერანტობის გაღვივების კუთხით.
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 49. (მაუწყებლის მიერ დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედების გაშუქებისადმი წაყენებული მოთხოვნები (წესები)) თანახმად "მაუწყებლმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელმაც შესაძლოა წააქეზოს ან წაახალისოს დანაშაულის ჩადენა ან გამოიწვიოს ანტისოციალური ქმედება, ან რომელიც ამართლებს ან იწონებს უკანონო, ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას."
- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 55. (მაუწყებლის მიერ მავნე და შეურაცხმყოფელი მასალისგან დაცვის უზრუნველყოფისათვის წაყენებული მოთხოვნები (წესები)) ის თანახმად "მაუწყებელმა არ უნდა გადასცეს ისეთი მასალა, რომელიც ამართლებს ან იწონებს ძალადობრივ, სახიფათო ან ანტისოციალურ ქმედებას და შეიძლება წაახალისოს სხვები მსგავსი ქმედებისკენ."

მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მუხლი 56. (სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ პოტენციური ზიანისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის შესახებ) ის თანახმად

1. „აუდიტორიის შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენებას."

7. "დაუშვებელია სექსუალური და ნებისმიერი სხვა ძალადობის მისაღებად წარმოჩენა"

<u>შპს "ტელეიმედის" თვითრეგულირების საბჭოს</u>

<u>გადაწყვეტილება</u>

თბილისი, 01/09/2021

- გადაცემაში ადგილი ჰქონდა აღზრდის მკაცრი მეთოდების (ძალადობის) გამოყენების გამართლებას.

<u>საბჭომ მიიჩნია, რომ</u>

- მაუწყებელმა დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31 - ე მუხლის პირველი ნაწილი, 49 - ე მუხლის პირველი ნაწილი, 55 - ე მუხლის მეორე ნაწილი და 56 - ე მუხლის პირველი და მე - 7 ნაწილები.

6. **<u>სარეზოლუციო ნაწილი</u>**

საბჭომ იხელმძღვანელა "მაუწყებელთა ქცევის კოდექსითა" და "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესებით და

<u>დაადგინა:</u>

ესმა გუმბერიძის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

- **დადგენილად ჩაითვალოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 31 - ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.**
- **დადგენილად ჩაითვალოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 49 - ე მუხლის პირველი ნაწილი, 55 - ე მუხლის მეორე ნაწილი და 56 - ე მუხლის პირველი და მე - 7 ნაწილები.**
- **მაუწყებელს დაევალოს თანაბარ დროს თანაზომადი საშუალებით შესაბამისი რეაგირების მოხდენა, კერძოდ მაუწყებელს დაევალოს საბჭოს მიერ ხსენებული ნორმების დარღვევის დადგენის შესახებ განცხადების გავრცელება.**

ანდრია ლაშხი

ნინო ფაშალიშვილი

რუსუდან მაჭავარიანი